გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 54

2023 წლის 18 აპრილი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა შეძლონ დროულად და სრულყოფილად საქართველოს კანონმდებლობით მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელება, საჭიროა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტები დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის ერთ ფურცლად).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №144 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

საქართველო გორის მუნიციპალიტეტი GEORGIA GORI MUNICIPALITY SSEMBLY 218086087

დანართი № 1

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის საწვავის ლიმიტები

№	ავტომანქანის მარკა (ლათინურად)	ავტომანქანის მოდელი (ლათინურად)	ავტომანქანის სახ. ნომერი (ლათინურად)	გამოყოფილი საწვავის ლიმიტი		შენიშვნა	დანიშნულება
				ბენზინი	დიზელი		
1	Kia	Seltos	WS 292 WW	600		განპიროვნებული ავტომობილი	მერია
2	RENAULT	DUSTER	BB 238 BC		400	განპიროვნებული ავტომობილი	მერია
3	FIAT	TIPO	VV 011 EE	500		განპიროვნებული ავტომობილი	მერია
4	FIAT	TIPO	FS 319 SS	500		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
5	Lexus	RX330	RA 007 CH	450		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
6	Volkswagen	Passat	OG 191 GG	450		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
7	BMW	X5	AD 717 AC		450	განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
8	MITSUBISHI	L200	SS 108 SO		300	სამორიგეო ავტომობილი	საკრებულო
9	Lexus	GX 470	QC 929 CC	450		სამორიგეო ავტომობილი	საკრებულო
10	FIAT	TIPO	FF 742 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
11	FIAT	TIPO	FF 732 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
12	TOYOTA	HILUX	II 110 JJ		500	სამორიგეო ავტომობილი	მერია
13	RENAULT	DUSTER	BB 239 BC		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
14	FIAT	TIPO	FF 738 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
15	RENAULT	DUSTER	PP 594 FF		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
16	RENAULT	Sandero	DD 045 YD		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
17	FORD	RANGER	BB 207 BC		500	სამორიგეო ავტომობილი	მერია
	ერთი თვის ჯამი			**3850**	**3050**		
	ერთი წლის ჯამი			**46,200**	**36,600**		